

უაღლდი პარიზში.

პარიზის საღამო, სოფელი სმარაგდი.
 თქორიან ნისლში ელექტროს მარშაში.
 ნაორთქლი მინები, სფირი, მარადი,
 ლამაზი ფეხის თეთრული გამაში.
 ტაძარის აჩრდილი ტორტმანობს განზე;
 ქვების ლოცვებით ეტრფის ჭერებიშ.
 „ნოტრ-დამის“ პირქუშა თუჯურა ტანზე—
 მთქნარება ერევათ მოღიმარ კომერებს.
 კაფეში: ხმაური, სიცილი, ზაღისი.
 კისკასი ჰკანშავს ლამაზ ჰეტერებს.
 იზჩობა ქეიფით სირუხე ხვალისა.
 მოკლადღო თვალი სიგოევს ატარებს.
 ყიფით შემოდის უცხო მთავარი.
 ტრფიალით ეკვრის გულზე ნარგისი.
 ორქოლი ღიმილით ღებნის მთოვარე—
 არავის მოხედავს: ამაყი, გარისი.
 სინელით უჯდება მეგობრის მაგიდას.
 მზერაში უბრწყინავს ახალი რასსა.
 ეტყობა უდარღვლს: არას დაგიდევს:
 ზოგი თუ რას იტყვის და ზოგი რასა—
 მაჰას ჰმოსავს ქებათა ქებით.
 ისერის სიუხვით ახალ სახელებს.
 აღორიზმს აბნევს ინდოელ ქვებით.
 გენიის ყინით ქვეყანას ახელებს.
 ჰკიაფობს კაფე: უყივის მთვარეთ.
 ნერვებით უზმობს: ვის რა უაღდეს.
 და... მეგაზეთე ქუჩაში გარეთ—
 ხმამაღლა ყვირის: ლანდი უაღლდის:

ჩემ. ა. პ. ჩაიკოვსკი

გაოლო იაშვილი

ოფელიას ტრეუნას კავალერს.

შენ როცა გძინავს დამძიმებულ წვიმიან დღეში,
თმებს გიხელს შენი ოფელია მწვანე თითებით.
იმას ჩეღლები ჩაბარეს თეთრ სამოთხეში
და გულისათარი მოუქარგეს მარგალიტებით.
გახელ თვალებს, მორცხვად იტყვი: ახ, უკაცრავად,
ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და დერიდახოლებს,
და თუ დაჰკოცნი იმის თითებს დაუკარავად
ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს გადა ყოლებს.
ქვეშევრდომ პოეტს ენა შეტად დაგებორკება,
ახლა საყურეს დაჰპირდება შენ, უბერბული.
მან დაგავალა შენ მესტების ფეხზე მორგება
და ემზადება, რომ გამართოს შენთვის ფერბული.
სურს ოფელიას პირველობა და ძვირფასობა,
ქალწულ სურვილებს შენ გაგიმზელს, შენ დაგენდობა,
და თუ მხოლოდ შენ გეკუთვნოდა ეს დარბაზობა,
აღარ სჭირდება ოფელიას ცოდვის შენდობა.
და ეს შენვედრა კიდევ ხშირად რომ გამეორდეს,
რომ მის მადლობით ამოყობდეს პოეტის მკერდი.
შემოგთავაზებს ოფელია საკუთარ ორდენს,
რომ იყო მისი კავალერი შენ ერთად ერთი.

ბიციან ტაბიძე

პეტერბურგი.

ქუჩიდან მოჰქრის ქარი დაუდევარი,
აწვება ქუჩებს, ყუბბარების ცეცხლით გადახრულს.
თუ სცივა ვისმეს?.. მხოლოდ კაბებზე მუდამ გადაკრულს:
ჩრდილების ლანდში მიდის ლანდი თეთრი ედგარის.
ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მდგარი,
ასდის სიმკრალე სალდათების გადამთვრალ მაყრულს,
რეცხავს მოიკა მატროსების გვაბებს ჩაყურულს,
თუჯის მხედარსაც უბნელდება გული ბედქარი.
ვინ გამოუშვა, ვინ დაიტერს, ვინ დააკავებს,
ჭაობის წინაშე სისხლის ოფელი გამოდის მკლავებს.
მოიგონებენ და იტყვიან მხოლოდ ერთ სახელს...
გასიებელი ძირს ეშვება ჰოლანდიელი,
სწევლი ჭინკა დაბლა უყდეს-ანდრეი ბელი
და უერთდება პეტერბურგა ქალის ნახველს.

შალვა კარგელი.

ღამის ფრაგმენტი

პარგალიტის მანიკიდან.

ფირუზისფერი აბაყურით ჩაქრა შანდალი,
ცივი ბალიში თეთრ ლოცვებზე დამინოტიეს.
თოვლიან იღბალს ანადგურებს ბელი ვანდალი.
მსდევნის სიკვდილის ორეული როგორც გოტიეს.
ველარ მამშვიდებს სახარება, საღვთო ბიბლია.
შავ ბალდახინით დამიკრძალებს ყოფნის მოდელი.
ტყალი ჯირითში ჩქარ ნიამორს მოუხიბლია
და მომსდევს ღამე სამუდამოდ გულდამკოდელი.

ძვირფას ეტრატზე თუ ამსახავს მემატიანე,
ვიქნები ფერშავ ოდრიკალში ბედსაბრალისი.
ასე გაშვარდა ჯერ ღაფუდშილა, დღეს ტატიანა,
და მათ სამარეშ გაანელა ჩემი ხალისი...
ესტიროდი დებზე და სიბნელე თავზე მებურა.
მტანჯდა სიმძიმე პირამიდის აუნუსხავი.
სხეულს ჰყინავდა გამძაფრებით ყინვა-ტეხურა,—
ფანჯრის დარბებს აკვნესებდა ქარი მსუსხავი.

განთიადისას მაჯლაჯუნამ სული განაბა,
მაგრამ აისი უმირაეთ იყო ჯანაბა.
რა მოკლავს სევდას:—ყრუ სიგიჟე თუ ალკოვალი?—
მახინჯ მოწყენით დადიოდა ტვეენად გოვოლი!
გავსდევ დების ლანდს:—მეშინიან არ მიმიკაროს,
დავიღუპები ფრთადაშლილი ზღვაზე იკაროს!
ისე კი ბედი კორიანტელს არ ამაცილებს,—
ვკბენ მშრალ ჰაერში მოთარეშე კლუქის ბაცილებს!..

ქართული პოეზიის პრესპექტივა.

ბრძოლის ველი მოიფინა ძველი არმაზების ნამსხვრევებით. დღეს აღარ გვაწუხებს მათი ყვითელი გამონათება. ახალი შკოლა შეიმოსა გამარჯვებულის საროსით. „კისფერი ყანწების“ ეუალით და ეირნობენ დღეს ჩვენში პოეზიის მსახურნი.

საქართველომ ნახა თავისი თავი. და პოლიტიკურ აღორძინებასთან ერთად დაიწყო ქართული ხელოვნების რენესანსიც. საქართველომ უნდა დაიმკიდროს თავისი თავი კულტურულად. შემთხვევითი არაა, რომ განთავსუფლებულ საქართველოში ხელოვნების რენესანსის სადავე ახალმა შკოლამ—სიმბოლიზმმა დაიკავა ხელში. იგი სხვა გზას ვერ აირჩევდა.

იყო წარსულში მზიანი გურჯისტანი. პოლიტიკურმა გენიამ შორს გადაიტანა მის მიერ დანთებული ჩრადღნები. გაასალაშინა გზა მწველი ბალდათისაკენ მიმავალი. ძვირფას თაჩვებით და ნოხებით დატვირთული აქლემები როგორც დღევნაობა იბაწრებოდნენ ამ გზაზე. ძვირფას ქვებს კინძადენ ქართველი ჯელტმენები მაცდურ კრიალოსნებათ. ფერად მირაყენში და ამ ქვებში დაიბადა რუსთველის სიტყვა. უნივერსალურად განვითარებული საქართველო რუსთველის მოწყვეტილმა სიტყვამ დააგვიოგვინა. ასეთივე გვირგვინით უნდა შეამკოს განთავსუფლებული საქართველო ახალმა შკოლამ—სიმბოლიზმმა. რუსთველის სიტყვა ასახავდა ორ ქვეყანას, ორ აზრს. ასეთი იქნება ახალი სიტყვა.

შოთა რუსთველიდან დაიწყო გზა ძვირფას კენკებით მოკირჩლული. უბსოვარ დროში დაიკარგა იგი. „კისფერმა ყანწებმა“ მოძებნა და განიზრახა მასზე სიარული.

საქართველო მდიდარია უცხო ფერებით. განებივრებულია სურნელოვან ხმებით. სიმბოლიზმმა დაისახა მიზნად მათი გაცხოველება. მისთვის საჭიროთა მდიდარი ფერო და სურნელოვანი ხმა, როგორც იარაღი ხელოვნურ ტანჯვისა და შემოქმედებისა. ფერისა და ხმის სინტეზი სიტყვაში იკვანძება. ამიტომ, აქედან იწყება ისტორია ქართული სიტყვის ძიებისა. იგი (სიტყვა) დროთა განმავლობაში ცხრა კლიტულში იყო ჩამწყვდეული. სიტყვა გაძარცვული იყო იმ ძვირფას განძებიდან, რომელნიც მას რუსთველმა შესთავაზა. „კისფერი ყანწებიდან“ იწყება ორგანიული გასალაშინება სიტყვისა, მისი ესთეტიური ფასეულების აღდგენა. ხმა იღებს თავისებურ სახეს. დამოუკიდებელ არსებობის უფლებას.

ჩვენ არ გვაწუხებს მოტორების და ქარხნების ხმაური, არ გვაბრმავეებს ელექტრონის სხივები.

მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ქართველის ფიზიკა არ გართულებულიყოს. მის სულს არ მიეღოს ნერვიული სახე. გაიზარდა განცდათა სფერო დაიბადა ახალი გრძნობანი. ახალი სიტყვა საჭირო იყო უჩვეულო ემოციების

გადმოსაცემად. მომავალ ქართველ ლინგვისტს მადლიერი მასალა ექნება სამუშაოდ. სიმბოლიზში წინად უცნობ განცდების ასახვისათვის ჰქმნის ახალ სიტყვებს. ახალისებს ძველს ობით დაფარულს. ვითარდება სიტყვის ტენიკა. უკვე მდიდარი ლექსიკონი გვაქვს ხელთ. ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი შრომისა. სიტყვის პირდაპირი აზრი უკვე აღარ აკმაყოფილებს ქართველ ხელოვანს. ხმაში ეძიებს შინარსს. გიპნოტიური ალიტერაციებით, ასონანსებით და დისონანსებით ეუბნება იგი მკითხველს იმას, რისი თქმა სიტყვით ვერ მოახერხა. სიმბოლიზში აამაღლებს ენის ემოციონალურ მნიშვნელობას. პოეტური ენა უნდა დაისვას ისევ თავის ტახტზე. მეორე მხრით საქართველო, ბოდლერის სიტყვებით რომ გამოვთქვათ: „ბუნების ტაძარია. სადაც ცოცხალი სვეტების წყება მალე უად თუ დააგდებს ძნელად გასაგონ ხმას. იგი დაეხეტება სიმბოლოთა ტყეში...“ და ამ სიმბოლოების დახაზვას უკვე მოჰყიდეს ხელი ჩვენში. ხაზავენ მისტიურ სანებბათ.

მონუმენტალურ ფრაგმენტებში შეფერილი ხმებით გაიმოჟნა სიმბოლიზში ჩვენში ისე, როგორც სხვაგან გახეპირებულ ფორმულებიდან, დაღრუჯილ შაბლონებიდან. მარტივმა და ღრმა რეფლექსებმა გამოაქანდაკეს უკვე ახალი ლექსები, ახალი აღნაგობით, ახალი სტილით და ტენიკით დაწერილი. არ არის მომწიფებული ახალი შკოლა ჩვენში, არის დაუმთავრებული სილუეტები, მოუხაზავი პრიფილები. მაგრამ ჯანსაღია სხეული ახალი ლექსისა.

ჩვენ გვწამს საქართველოს შესანიშნავი: შედუღება დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურისა. მიმჭრალი იყო ეს იდეა, დღეს კვლავ გაიზმორა იგი ჩვენ წინ. ეს მისია უნდა შეასრულოს ხელოვნებაში სიმბოლიზმმა გასალაშინებულ სიტყვის საშვალებით.

მართალია სიმბოლიზში როგორც შკოლა დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში. მაგრამ მის უმაღლეს განვითარებისათვის არ აღ არ არის ნიადაგი მხათ ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაფლენილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით: აღმოსავლეთის თვალუწვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მიტყველი ხმები. დღეს ჩვენში არის უკვე ორი პოლარუსი ერთი დასაწყისის, არიან განცალკევებულად.

პაოლო იაშვილში ახმაურდა ხალიჩიანი აღმოსავლეთი: გაბეჯულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით. პაოლო იაშვილის პოეზია მშვენიერი მოზაიკაა ძვირფას ქვებით, ფერების ჩრდილებით და ხმებით მოკაზმული. პაოლოს ტრიოლეტებში გამთბარ სიტყვებით იკივლა აღმოსავლეთმა. მეორე მხრით დასავლეთიც გაიშმუშნა ვალერიან გაფრინდაშვილში, თავისი შეუხლუდველი ფანტასტიკით, ინდივიდუალიზაციის ავანპუოფობით, შეშინებულ სახეებით. გაფრინდაშვილის პოეზია დორიული ტაძარია გამოზომილ, ამაყი არხიტექტონიკით. მისთვის საყვარელია სიტყვის არა ნამდვილი, არამედ შესაძლებელი, ინტიმური აზრი. უნდა მოხდეს ამ ორ პოლარუსის შეხვედრა. ამ ორ ა მსოფლმხედველობამ უნდა იქორწილოს ერთ ტაძარში. მეოთხრმეტე საუკუნეში ეს შესა-

ძლო. უნდა შესდლოს განახლებულმა საქართველომ. ქართული ხელოვნება ნაცადი გზით წავა. სიმბოლოში ამაყი სიტყვით შეადუღებს შენში პაოლო იაშვილის კერპთთაყვანისცემის პანთეონს და ვალერიან გაფრინდაშვილის ქრისტიანულ სიღრმეს. და თუ მართლაც დაღლილ დასავლეთს ეჭივრება გადაბალისება აღმოსავლეთის მისტიციზმით და მაგიურ ქცევით, ამას შესდლებს უეჭველად გამოცდილი დოკტაქარი—საქართველო. ამ მიზნისაკენ წავა ჩვენში აჩქარებულ ტემპით ცხოვრების მიერ გამოთვლებული სიმბოლოში.

პალერიან გაფრინდაშვილი.

სონეტის პრობლემა.

სონეტი—თვორებია. შეიძლება მისი ავტორი მათემატიკი იყო და არა პოეტი. სონეტს უხვად უანდერძეს თავისი სახელები შეესპირმა, მიკედონელს, ტყუპილ ვოტკივს, პეტრაშკამ; მარია-ტერეზამ, ბუილო ამბობს: ჭეშმარიტა სონეტი გრძელ პოემათ დირს. არის ერთი მაგალითი ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც პოეტმა შეიღლი თავისი შემოქმედება შესწირა სონეტს. ეს არის ფრანგი პოეტი სახელადანი პარნასელი სოზე-მარია-ურდია. ბოდლურის ლექსი: „შეფერილება“ სონეტის სახით მოვედირნი კაცობრიობას, სტუდან მაღარშეს დაუფიქარი ჯედიც—სონეტია. სრულდებათ არ არის გასაყვარი, რომ განსაკუთრებით საფრანგეთში განვითარდა სონეტი: ფორმის კულტი არხად არ არის ისე გაფრცულებული, როგორც საფრანგეთში. იმ მონოგრაფიაში, რომელიც დაიწერება სონეტზე, დირხელ ადგილს დაიჭერენ პარნასელები. თუმცა გერმანიას ეავდა სონეტისტი პლატენი, ეს ფორმა სრულებით არ არის სავალდებულო გერმანიისათვის, ისე, როგორც ის არ ამსიათებს რუსეთს. ფორე ბრიოშელი სწერდა სონეტებს და დენდისში წარმოუდგენელია უსონეტოთ. დენდისშია ესთეტურ პროგრამაში შედის სონეტი, როგორც უფლებვევი. სონეტი არის არისტოკრატიული ფორმა და შეფუებათ მოიხადეს თავისი ვალი მის წიხსზე. სეფეები სწერდენ სონეტებს და ინგლისის დედოფალი ელისაბედა შეარყელობას უწევდა სონეტს. სონეტი ფენომენია, იგი მუსიკა და იგი მარშირლო არის. ბევრმა საუკუნოებმა მიიტანეს იერაში სონეტზე. მაგრამ იგი სდგას ვით ციხე ხელუბლები და ასლა იდელია იმპრინციპის აღიარება, რომ სონეტი უკვდავია. როგორც ფორმა, როგორც ნივთიერება და იარბებებს უკუნიხამდე. ლაჟარგის ტრაურულ მარშიში, როდესაც მსოფლიო იღუბება და ისევე პირველყოფილ ქალად უნდა იქცეს. ნგრევის გაბრაზებულ სტიქიას მოატყა სეველის წიგნებთან სააღერსო სონეტი.

ჩვენ ვიცით სპედასზეა ღირიკული ფორმები: მაგალითად სესტინა, აკტაფა, ტრიოლეტი, რონდო, ვიცით კიდევ სხვა ელასტიური ფორმები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისე დასრულებული, ისე თადშეკრული, არც ერთი ისე არ შემოაკლავს შემოქმედებას, როგორც დეტაებრივი სონეტი. შინაარსი და ფორმა თუ გარემოიუდად არ არიან განვითარებული სონეტში—სონეტი მარცბდება ფორმის და შინაარსის შერით. სონეტი მეაფს აღბრებტ-ფიურერის რაინდს, რომელიც არის დატვირთული შიხე დერიდაბოლებით. მაგრამ დირხელად ატარებს თავის რკინის ტანსაცმელს. ვისაც არ შესწევს ძალი, არ უნდა ჩაიცვას სონეტის რკინის ბერანგი, თორემ უსათუოდ ამ სიმძიმის ქვეშ ჩაიკეცება და ვერ გაშლის ფრთას, არც ერთი ფორმა არ მოითხოვს იმისთანა გაბმონიას შინაარსთან როგორც სონეტი. ამ ფორმა ქმნის შინაარსს. უნავლო სონეტი სახეფელის შთაბეჭდილებას ადენს. ქართველ ფუტურისტის არჩილ მიქაძის სიტყვით სონეტი უფრო ხშირად ოდაა, მას უფრო ხშირად წარსულისაკენ უჭირავს თვალთ. სონეტი, როგორც ოდა, ძვირად ეხება ყოველდღი-

ურს, მისი საგანი რაიმე განსაკუთრებულია: სიყვარული, რევოლუცია, ისტორია მისი გმირებია. ამირად სონეტი არის პორტრეტი რომელიმე პიროვნებისა, ბოროტ პოეტები მიშართავენ ერთმანეთს სონეტებით. როგორც არ იცოდა ვინ გამოიგონა სამყარო, ისე არ იცოდა ვინ გამოსჭედდა პირველად 14 სტრიქონი სონეტისა. საბერძნეთის მითოლოგია მოგვითხრობს, რომ ათინა დაიბადა სრულყოფილ შეიარაღებული ზეფისის თავიდან და შეძლება ამნაირი იყო სონეტის დაბადებაც. არც ერთი ფორმა ღექსისა არ უწყვეტებით ისე, როგორც სონეტის. ზვერი პოეტი ცდილობდა გაოცეცადა სონეტის სახე და მიეთვისებია სონეტის რეგორმატორის სახელი. აქ პერსპექტივაც შეტად კბიერი და მიშაიდაუი იყო. ეს ფორმა შეტად კონსერვატიული ფორმა, ცვალებადობის ქანონს არ ემორჩილება. არქივედი ამბობდა: მომეცით დასაყრდნობი წერტილი და მე მოვლ დედამიწის გადავამბრუნებ. პოეტები, რომელნიც ცდილობდნ აეფუთქებიათ სონეტი და მის ნაგრევებზე ახალი ფორმა აეშენებიათ, გრძობდნ თავის თავს არქივედებთან სონეტის წინაშე, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუშარჯვია ამ ბრძოლაში. საქართველო, რომელიც ბევრ რამეში ეხატება სავრანგეთს, გატაცებულია ახალი სონეტის პრობლემით. ჩვენ გაბედულად ვამბობთ ერთ პარადოქსს, რომელსაც მომავალი გაამართლებს: იტალიის და საფრანგეთის შემდეგ სონეტის ბრწყინვალე ისტორიაში შესამე აღვიღს დიქტერს საქართველო. არსად სონეტს არა პაავს ისეთი თავგამეტებული რაინდები, როგორც საქართველოში, ყცნაური, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ მთელი დასი ქართველ პოეტებისა ავადმყოფია სონეტით, იმათ სონეტი ეჩვენებათ როგორც უნივერსალური ფორმა შემოქმედებისა. არტურო რეზბოს მოუღიოდნელი და ააშენელი შეტაფორა მოვლ პლანეტების კატასტროფის იტევს, პოეტს შეუძლია ამოსწეროს რევოლუცია ერთ შეტაფორაში: ურდუის სონეტებში ატორტმანდნ საცყუნოები.

არც ერთ პოეზიაში არ არის იმდენი მრავალსახეობა სონეტისა, როგორც ჩვენს პოეზიაში. გადაბრუნებული—ყირამალი სონეტი, კოჭლი სონეტი ტიპიურია ჩვენი პოეზიისთვის. ჯერ არ არის ქართულ პოეზიაში სონეტების გვირგვინი.

9 გრივოდ რომაქიძე შექმნა ახალი ფორმა სონეტისა, რომელშიდაც ყოველი სტრიქონი წერტილით თავდება. ყოველი სტრიქონი სრულ ქანდაკებას წარმოადგენს და არსად ეავშირა „და“ სონეტში არ იმბარება. ამის გარდა ქართულ სონეტისთვის ის საყვალდებულად მდის თოთბებე მარცვლოვან ღექსს და ქალურ-ვაჟურ რითმების მორიგეობას. სონეტები: „ფრანგ პოეტს“, „ქლეში“, გარდა იმისა, რომ პირველი კლასიკური სონეტი დასწერა ელენე დარჩანა ჩვენში, პოლო იაშვილმ. შექმნა შემდეგი სონეტები: ელაში სონეტი, სონეტი ამორბადლი და სონეტი უნაგრით. ჯერ კიდევ დაუმტკდაცა ტიციან ტაბიძის:—სონეტი ქერმაფროდიტი. ეს სათაური წინამორბედი არა ჩვეულებრივი სონეტისა; შეიძლება ამ სონეტმა გადაგვაროს ჩველი სონეტის აღნაგობა და დაამკვიდროს ახალი სონეტი. კოლაუ ნადირაძეს აქვს იდეა ორიგინალური სონეტისა:—მისი საბერძნოლება არის—„სონეტი ქამრით“. ამ სტრიქონების ატორმა დასწერა ურთ სონეტი, რომელშიდაც წინააღუდეგ ბმოვანობის ქანონს და რიტმიულ, მაგრამ ურითმო 14 სტრიქონში სონეტი დააყრუა. ეს სონეტები ჩვენ დეტალურათ არ გაგვიჩნევია, მაგრამ მოკლე მიმოიღივაც საკმარია, რომ დავრწმუნდეთ, როგორია უტრადლებით გვიდება ქართული პოეზია სონეტს. ჩვენ, ქართველები, ელდინების, რომაელების და ფრანგების მშვენიერებები ერთ ფორმის სიყვარულში, ჩვენი ბუნება იმდენად მჭერმეტყველია, რომ შეუძლებელია აქ ფორმის პრიმატის დავშობა და ფარყოფა. ქართველ პოეტებს სწამთ სონეტი, როგორც უნივერსალური ფორმა შემოქმედებისა. სონეტი ამნაირად გაგებული უაბლოვდება სიმბოლოს და მის მაგიერობას ასრულებს, ერთი ქართველი პედეტრიტი ამბობს, რომ ჩვენს უცვდელს პოეზიაში არსებობდა ფორმა სონეტისა. ამის დამტკიცება ძნელი რჩებოდა მაგრამ ამისთანა ლეგენდაც საინტერესოა. თუ ჩვენს წარსულ პოეზიაში არ ყოფილა სონეტი, იყო ისეთი ფორმები, რომელნიც ეწერებოდა სონეტს.

სონეტის ფორმა მარადია ისე, როგორც თვით ლიტერატურა. როგორ მოხდა რომ ადამიანის გონება ისე დააწყო 14 სტრიქონი, რომ სონეტის შეუდარებელი გოტია საყვალდებულად შეიქნა ყველა საყუენოებისათვის? ჩვენ რომ დავშალოთ სონეტი ცალკე სტრიქონებათ, ჩვენ რომ დავამახინჯოთ იგი, მაინც შეუძლებელია მისი სიყვდილი

და იგი უოველითვის აღორძინდება, როგორც ფენიკსი. სონეტი ჯერ კიდევ არ არის დაფასებული. უოველივე ის, რაც ამ ფორმაში იშლება. მხოლოდ მომავალში იქნება აღმოჩენილი. ედგარ პოშ თავისი „ჟორანის“ ლაბორატორიაში შევეცყანა, დაჯანსაღების თავის განმარტებაში, როგორ შევქმნა ბან ჟორანი. შეპეღენმა ბერძნულ ტრაგედიაში აღმოაჩინა სამი ერთობის პრინციპი და ეს პრინციპი თავის *L'Art Potlique*-ში დააკანონა ბუნდობ. მომავალში ახალი შეპეღენი აღმოაჩენს სონეტში მთელი თეორიას და მანამდე ეს ფორმა აუხსნელი სფინქსი იქნება ჩვენთვის. შეიძლება ყველა ცდა ახალი სონეტისა იყოს გამოწყვეტილი ერთი სფეროვლით, რომ გავიგოთ უკანასკნელიდ მომზიდული ძალი და აუტყულებელი მკაცრი კანონები სონეტისა. უსათუოდ ფორმა სონეტისა მიუდგომი და ძლიერი გეიტაცებს ჩვენ და იმავე დროს ჩვენ გვიჩვენებს ეს ფორმა დავიმორჩილოთ, რომ მისი იდეზიდება რამენაირად ცხად-ფოთ, მოგზადოთ მას წიდაბი. საფულისხშია, რომ სონეტი გაჩდა აღზიმპიკოსების დროს და დღესაც სონეტი ლიტერატურული *perpetuum mobile* არის. ბევრი ფიქრობს, რომ სონეტის ფორმა უბრალოა, მაგრამ სონეტის მარტივობა უფრო რთულია, ვინემ ხევისტინის კახშულობა, აქ აღვიღად მოსტყუვდება თვადი, სონეტში ხომ 14 სტრიქონია, სონეტი ხომ მამდეტის გამოცანა არ არის! სონეტის ფორმის იდეია იქამდის გატყუბარია, სონეტის ფორმის თეორია ჯერ კიდევ არ დაწერილა. ჩვენ ვიცით ბუნდობის პრინციპი: ერთი და იგივე სატყუი სონეტში არ უნდა მეორდებოდეს, რითმები რთმეულებში (ჯგერედინი და მოღვედლი რითმები) და ტერცეტებში უნდა იყოს ავტებული ისე როგორც ამას გვიკარნახებს თვით ბუნდობს და ან მეტრარკას სონეტი. მაგრამ განა ეს ამოსწერავს სონეტის ფორმის წინააღსის და სონეტის იდეიას? იმან, ვინც ეს ცინე ააშენა, გადაკეტა ამ ცინის კარები და გასაღები ზეფაში გადამსროლია.

ალ. ცინეკინძე

მინიატურა.

ჩვენში ასლა ძალიან გავრცედილა მინიატურა. ეს ფორმა ყველაზე უფრო შეიყვარა აზრდელმა ქართულმა ბელეტრისტიკამ. მაგრამ ჩვენი ზაღი და სწორად კრიტიკაც ყაღბი აზრისაა მინიატურაზე.

მეოცე საუკუნეში ყველაფერს მიზნში უნდა მოეცებნოს და ჩვენში მინიატურასაც მოუტანეს მიზნში. მის გუნჯისს ელექტრონის ტრამეიის უკავშირებენ და ამბობენ: ევროპაში ელექტრონის და მოტორის ბანაა; აქ ცხოვრების ტემპი ძალზე აჩქარდა, გძელი ამბებისათვის, დიდი მხატვრობისათვის იდარავის სცადია; ბუნებრივია, რომ ევროპაში მინიატურის წერა დაიწყეს რომანების მაგიერათო. დასძენენ: ჩვენში ცხოვრება ჯერ საკმაოთ ნელია, აქ მინიატურა ანორმალური მოვლენაა, ჩვენ ჯერ რომანები უნდა ვწეროთო. არაა ეს მართალი.

არც ასლა მართალი, ვინც ყველა მინიატურისტებს ერთ შეკოლიში აჯგუფებს.

მინიატურა ფორმაა ისე, როგორც რომანი, ტრილოდები, სონეტი. შეკოლის უმთავრესად ახასიათებს წერის მანერა და არა ფორმა. სონეტებს სწერდენ კლასიკებიც, პარნასელებიც, სიმბოლისტებიც; და არაფის მოსულია ფიქრიდ სონეტის ავტორები ერთ რკადში, ერთ საბელში მოემწყვდია. პეტრარკა, პრაუდონი და მალარმე არ არიან შეკოლის მოზიარენი.

მინიატურის ფორმა არ მოზიდლა ევროპაში. მისი აკვანი, როგორც ბევრი სხვა ფორმის, აღმოსავლეთში დაირწა პირველით.

მინიატურა ყველაზე უფრო მხატვრობაშია ცნობილი. დიდი ხანია ადიდებენ სარსელ მინიატურისტებს, და სწორედ აღმოსავლეთში უნდა მოზიდიყო მინიატურის-

ში, მიკროსკოპში, დიდ სფეროთს უნდა ფართო, გაბედილი კალმის მოსმა. ეს შეიძლება ჩქარ კვეთებში, მინიატურა წერტილებით იწერება. იმას ზანტი, მაზოპილი ზატვა უნდა. მინიატურას მოკდილი სპარსელი უნდა ზატავდეს შუადლისას ჰანდრის ჩრდილში. მონასტრის შვიდ კედლებში ზატავდენ მინიატურებს გელათის საზოგადოების, სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების ფერადი კარუსელი იხეზება უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან. მინიატურული ფორმა აღმოსავლეთის კანონიერი შვილია და გეროპაში ის მოგზაურობს მხოლოდ. გეროპაში მინიატურის შინა ჰყავს თავისი სახელოვანი კაფალაურები: კატულ შენდესი, შარლ ბოდდერი, ისკარ უაღლდი, სტეფან მაღარბე, ვილიამ დე ლილ ადანი, ალტენბურგი, ტეტმაერი, რუსეთში—ტურგენევი, რემიზოვი. საქართველო გეროპის კარებზეა. ჩვენ გეროპის სამხრეთის ლურჯ პაერში უნდა შევხედოთ პირდაპირ და არა ჩრდილოეთის გაყინულ სათვალევებით. ჩვენ არ უნდა დაფიქსოთ ეს რთული საქართველოსი, ყველაზე უფრო ჩვენ უნდა შევიყვაროთ მინიატურის ფორმა და ერთგულ კიდევ გაგაკვირვოთ ევროპა, როგორც ჩვენი წინაპრები აოცებდნენ მათ უჩვეულო მინანქრებით. ჩვენ მწერლობაში მინიატურის ფორმა გვიან შემოვიდა და მალე გაბატონდა. ყველაგან მინიატურებსა სწერენ ახლი საქართველოში. მაგრამ ეს მწერლები ეკუთვნიან სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფებს თავის მსოფლმხედველობით, მანერით, ტემპერამენტით. მინიატურის ფორმაში შეიძლება ამტკიცება მრავალნაირად და ჩვენი მინიატურისტების მანერაც ნაირია. ყველაზე ადრე ჩვენში მინიატურიზმის გზას დაიდგა ვაჟა-ფშაველა. მისი წერის მანერა ძველია, რეალისტური, ვაჟას უყვარს დეტალების ამოხატვა, მაგრამ ისე, რომ მის ხელს შეუძამ მართაეს ვაჟას თავისებური პანტეიზმი. ვაჟა-ფშაველას დროსვე ადრე დაიფერფლა ნიჭიერი დეკანოზიშვილი, ნაზი, უცხო. ვაჟას შემდეგ თანდათან იკლო ქართული მოთხრობის მასშტაბმა და ახლი ქართული ფურნალ-გაზეთები ნამდვილი მინიატურებითაა მოუენილი. რომანის გადაცვარების პროცესი ჩვენში დაშთავრდება მინიატურის საშოლო დაკანონებით და მიღებით. ჩვენ მინიატურისტებში ყველაზე უფრო პოპულიარულია ჯორჯიკია და ნიკო ლორთქიფანიძე. ჯორჯიკია დაშთავრებულ სიუჟეტს გადმოგვცემს უბრალოთ, მოკლეთ. სულ სხვაა ნიკო ლორთქიფანიძე. მას ერთი გარკვეული წერის მანერა აქვს რომანში და მინიატურაში. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტია და, როგორც ასეთი, ნამდვილი შვილია ელექტრონის და სინქარის. ლორთქიფანიძის მანერა ფრანგ მხატვარ ლოტრეკის მანერასა ჰგავს. ის აიღებს რომელიმე ნაქერს მთელისას და ამოხატავს. მის მინიატურებში ყოველთვის გრძნობთ, რომ ეს ეპიზოდია მთელის. კიდევან ჩვენ მინიატურისტებში სიინტერესო სახელები, აღარ ჩამოვთვლი. მე მიზნოდა მხოლოდ მხოგი კორექტივი შეგეტანა პოპულიარულ აზრებში მინიატურის შესახებ.

მხატვრული მატიახა.

გამოვიდა დია ჩიანელის ნოველებისა და ლეგენდების წიგნი „შემოდგომის ცრემლები“. წიგნში „წინათქმის“ გარდა, ცამეტი ესკიზია. ვერც ერთში ვერ იხედება ავტორი საგნების გადაღმა, ეს ცამეტი ლეგენდა ბელეტრისტიკაა. სამაგიეროდ ამ ფარგალში ავტორი დაგვაკმაყოფილებდა გრძნობით და ტემპერამენტით, რომ მოენახა თავისი სტილი. ავტორს არ ეხერხება მეტაფორა და აპოფლეგელი სტილი, განსაკუთრებით „წინათქმაში“, სუსტია. ავტორს აქვს საინტერესო ტემები: „დამდნარ ტრფობაში“, „ღურჯ თვალეში“.

კიდევ ერთი შენიშვნა: ნოველა—რომანის და მოთხრობის დაპატარავებაა, უარყოფაა. თუ ამ გზას დადგა ავტორი, უნდა შეიძღეს მის ლოგიურ ბოლომდე, მინიატურამდე. იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგ წიგნში ბ. დია ჩიანელი მოგვცემს ნამდვილ ქართულ მინიატურას. მაგრამ მინიატურა ვერ აპატიებს ასეთ ზერელე სტილს და ავტორმა ამ მხრივ უსათუოდ უნდა იმუშაოს.

სასიხარულოა ახალი წიგნი ჩვენ ლიტერატურაში, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მთელი ენუგია პოლიტიკურ შემოქმედებაზე იხარჯება. წიგნში 80 გვერდია, სუფთადაა გამოცემული და ჰღირს 6 მანეთი.

ა. ც.

ქუთაისში გამოვიდა მოწაფეთა სალიტერატურო ჟურნალი „წინსვლის ემბლემა“. სასიამოვნოა, რომ ახალგაზდობაში არი ჯგუფი ხელოვნებით ესოდენ დაინტერესებული. ჟურნალს უსათუოდ ემჩნევა ჩვენი პოეზიის უკანასკნელ მიმდინარეობათა გავლენა.

ჟურნალის მასალას უნდა შევხედოთ როგორც ვარჯიშობას და უპრეტენზიო ავტორები ქეშმარიტად ქების ღირსნი არიან.

პაოლო იაშვილის რედაქტორობით მალე გამოვა „ცხოვერი კანწების“ მესამე წიგნი. წიგნში დაიბეჭდება ლექსები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, ლელი ჯაფარიძის, კოლაუ ნადირაძის, გ. ლევონიძის, ა. ჩაჩიკაშვილის, ალ. კირეკიძის და სხვ. წიგნში დაიბეჭდება აგრეთვე „მანიფესტი აზიას“.

გამოვა „მეოცნებე ნიამორების“ მეორე რვეული ძველი თანამშრომლებით და გუდიაშვილის სურათებით.

პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის რედაქტორობით მოკლე დროში გამოვა „პოეტების გაზეთი“, დაიბეჭდება მანიფესტები და დეკრეტები.

დამზადებულია და დაიბეჭდება „ცხოვრება და მეცნიერების“ მეორე კრებული.

კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის ინიციატივით 2 თებერვლიდან ქუთაისში გაიხსნება მუსიკალური სასწავლებელი. ხელმძღვანელებათ მოწვეულია კართველი და უკრავლი შემუსიკენი. აღსანიშნავია მელიტონ ბალანჩივაძე, თამარა ძნელაძე, რაისა ქუთათელაძე.

რამოდენიმე თვის წინათ გრ. მესხის ინიციატივით ქუთაისში მოეწყო სამხატვრო სტუდია. სტუდიაში ყურად-

ღებას იტყვევდ: გრ. მესხის „ამირანი“ და დ. წერეთლის საინტერესო ესკიზები. პატარიძემ აქ დახატა ვალერიან გაფრინდაშვილის „დუელი ორუღელთან“. ინიციატორებს აზრათ აქვთ სტუდიის გაფართოება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ძველი ქართული სტილის შესწავლას.

ქუთაისი მისთვისაა გაჩენილი, რომ აქ იყოს მუზეუმი.

მუზეუმისათვის საკმაო ნივთები აქვს საისტორიო საზოგადოებას. საჭიროა ან მთავრობამ, ან კერძო პირმა იკისროს ხარჯები მის დასალაგებლად. არასოდეს არ დაგვივიწყებია მუზეუმი ისე, როგორც ახლა, როდესაც ყოველ დღე ხაირფერი უცხოელი მოდის ჩვენ გასაცნობათ. მაგრამ სობოროს ნანგრევები და გელათი ჩვენ ძველებს ამართლებს. ჩვენ ვაგვაშართლებს მუზეუმი.

ქართველ მწერალთა კავშირი ტფილისში გამოთავს ქართულ ესთეტიურ საღამოებს. ერთი საღამო შეეწირება რუს პოეტებს ტფილისში. მომზდებლებათ გამოვლენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.

ქუთაისში დაარსდა თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოება, რომელიც სისტემატურათ გამართავს ინტიმურ ესთეტიურ საღამოებს. მონაწილეობენ პოეტები, მემუსიკენი, მხატვრები.

ქუთაისში მოკლე დროში დაიბნება „ფეროული დუქანი“, სადაც თავს მოიყრიან ხელოვანნი და ესთეტიკი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მე-14-ე ნუმრით გამოდის პატრიოტების ესთეტიური ლიგა. სიაში შედიან მხატვრები და პოეტები: პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ვლადიმერ გუდიაშვილი და ალექსი არსენიშვილი.

ტფილისი გადაიქცა ამ რევოლუციის დროს რუსეთის ფუტურისტების ჰედუთ. ერთხანს აქ კითხულობდა ლექციებს კრუფუტურისტი კამენსკი. ტფილისში მოღვაწეობს გოროდეცკი — აკმისტი და სიმბოლიზმის აბოლოგეტი ჩვენში. მან გამოსცა ორი ნუმერი ჟურნალის „Ars“-ისა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი პოვლენაა ა. კრუჩიონიხი. ის არის პოეზიის ლენინი. ამ პოეტს ჰინკას უძახიან და ეშმაკის მსახურს. მაგრამ მომენტებით ის ნაზი როგორც ბავში. „ფანტასტიური დუქანი“, სადაც თავმჯდომარეობს და კითხულობს ლექციებს კრუჩიონიხი, ნამდვილი შკოლაა და აკადემია ახალგაზდა პოეტებისათვის. კრუჩიონიხი არის გონების გარეშე მდგომ პოეზიის ბელადი და გამომგონი. იგი ბუმბერაზია და მას ანგარიშს უწევს თვით რუსეთის ლიტერატურის ნოტარიუსი ვენგეროვი. კრუჩიონიხის ნიჭიერი მოწაფეები არიან: ი. ხდანევიჩი, ტერენტიევი, დეგენი. აღსანიშნავია ჩაიკოვის ლექსები: „მაგარი გრგვინა“. რუსის პოეტებმა გამოსცეს: „ფენიქსი“, „კურანტები“, აღმანახი „ფანტასტიური დუქანი“. დროა ქართველ პოეტებმაც წაბადონ მათ მაგალითს.

რედაქტორები: ვ. გაფრინდაშვილი
აღ ცირეკიძე.

1.

7. 26

მეტყნეპე ნეამოკეპე

6 5-38

თეგერვალე
1919

